სამუშაო შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებთან

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები შემდეგ საკითხებს გაეცნენ: საკანონმდებლო სიახლეები, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი, საინფორმაციო კურსი „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ქცევის ზოგადი წესებისა და პროფესიული ეთიკის შესახებ“, საარჩევნო სარეგისტრაციო პროცედურები და რეგისტრაციები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ლოგისტიკა და სხვ. „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ქცევის ზოგადი წესებისა და პროფესიული ეთიკის შესახებ“ მოდულის ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრმა.

შეხვედრები, 2021 წლის 15-29 ივნისს გაიმართა, მასში მონაწილეობა მიიღო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა პირებმა (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი).

დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://electionreforms.ge/geo/list/show/3120-samushao-shekhvedrebi-saolqo-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanel-pirebtan